585
969/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს ფურცელი

№ 4 (339)

1969 წლის აპრილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 4 (339) აპრილი 1969 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

72. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარ სამმართველოდ გარდაქმნის შესახებ.
73. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ნ. ბარძიმოვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ.
74. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „სამხედრო ვალდებულის მიერ სასწავლო შეკრების თავის არიდებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 14 მარტის ბრძანებულების ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე.
75. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების მეთორმეტე მოწვევის ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიების შედეგების შესახებ.

განყოფილება მეორე

76. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
77. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სახალხო არტისტს სპპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
78. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ს. ბიწაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
79. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ვ. ი. ჩიქოვანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

30. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჩაის მრეწველობის მახარაძის ტექნიკუმის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

31. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ვ. გელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

32. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. შ. ხანანაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

33. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ვ. კორშიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

34. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. დ. ესაკიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

35. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. ნ. დავითაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

36. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ე. ღვინიანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

37. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ი. როდომანჩენკოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

38. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ფ. პ. კახიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

39. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. გ. ქურდაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

40. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ი. კუნჭულიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

41. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. ე. ბახტაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

42. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დარგის მუშაკთა დაჯილდოების შესახებ.

43. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. გ. გომელაურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

94. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. გ. თავდგირიძის საქართველოს სსრ **უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ბანკოფილება მესამე

საქართველოს სსრ **უმაღლესი საბჭოს** პრეზიდიუმში
საქართველოს სსრ **უმაღლესი საბჭოს** ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივ კომისიაში.
საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

72 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარ სამმართველოდ გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარ სამმართველოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ავაბაძე.

თბილისი, 1969 წლის **25 აპრილი.**

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

73 ამხ. გ. ნ. ბარძიმოვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დანიშნოს ამხ. გიორგი ნიკოლოზის ძე **ბარძიმოვი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ავაბაძე.

თბილისი, 1969 წლის 25 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

74 „სამხედრო ვალდებულის მიერ სასწავლო შეკრების თავის არიდებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 14 მარტის ბრძანებულების ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე

„საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 20 თებერვლის ბრძანებულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 14 მარტის ბრძანებულება „სამხედრო ვალდებულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიერ სასწავლო შეკრების თავის არიდებისათვის ადმინისტრაციული ჭგებლობის დაწესების შესახებ" („საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები", 1963 წ., № 8, მუხ. 133).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კპაპაძე.

თბილისი, 1969 წლის 29 აპრილი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

75 საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების მეთორმეტე მოწვევის ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების მეთორმეტე მოწვევის ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიები გაიმართა კონსტიტუციით დაწესებულ ვადაში, ჩატარდა ორგანიზებულად და მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე. სესიებზე არჩეულ იქნა ერთი საოლქო, 67 რაიონული, ქალაქ თბილისის 7 რაიონული, 50 საქალაქო, 918 სასოფლო და 51 სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

გაუმჯობესდა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შემადგენლობა: აღმასკომის თავმჯდომარეთა შორის უმაღლესი და საშუალო განათლება აქვს 93,5 პროცენტს, ხოლო მდივნებს შორის — 97,2 პროცენტს. აღმასკომების შემადგენლობაში არჩეულ 4.268 დეპუტატიდან უმაღლესი და საშუალო განათლებითაა 3.643 ანუ 85,7 პროცენტი, ქალია — 26,2%, უპარტიოა — 23.3%, მუშა და კოლმეურნეა — 55,1%. ალკა წევრთა რიცხვი გაიზარდა 119-დან 312-მდე. სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა შორის უმაღლესი და საშუალო განათლება აქვს 92,7%-ს ანუ 3 პროცენტით მეტს წინა მოწვევასთან შედარებით. სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია 106 ქალი, რაც 70-ით მეტია წინა მოწვევასთან შედარებით.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების პირველ სესიებზე შეიქმნა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის 6.488 მუდმივი კომისია, რაც წინა მოწვევასთან შედარებით 255-ით მეტია. მათ შორის შექმნილია ახალგაზრდობის საქმეთა 568 მუდმივი კომისია. მუდმივ კომისიებში არჩეულია 43.275 დეპუტატი ანუ დეპუტატთა საერთო რიცხვის 89 პროცენტი.

ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოს პირველ სესიაზე ორგანიზაციულ საკითხებთან ერთად განხილული იყო სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვადასხვა საკითხი. ასე მაგალითად: ვანის, ამბროლაურისა და საჩხერის რაიონული საბჭოების სესიებზე განიხილეს საკითხი საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ, აბაშის რაიონული საბჭოს სესიაზე—კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, ჭიათურის საქალაქო საბჭოს სესიაზე—ქალაქის კეთილმოწყობის გაუმჯობესების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ, გორის საქალაქო საბჭოს სესიაზე — ქალაქის გამწვანების შესახებ და სხვა.

ამასთან ერთად, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიების ჩატარების დროს ადგილი ჰქონდა ნაკლოვანებებსაც.

მიუხედავად იმისა, რომ გაუმჯობესდა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შემადგენლობა, 918 სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარიდან არასრული საშუალო განათლება აქვს 43-ს, ხოლო დაწყებითი — 23-ს. ქ. ტყიბულის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ჩხოროწყუს და წალკის რაიონებში სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არ აურჩევიათ არც ერთი ქალი, ხოლო საჩხერის, ორჯონიკიძის, ადიგენისა და ზოგიერთ სხვა რაიონებში რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში არ აურჩევიათ არც ერთი კოლმეურნე და მუშა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს რესპუბლიკის საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) მკვეთრად გააძლიერონ და სრულყონ საბჭოების ორგანიზატორული მუშაობა პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადწყვეტილებათა განსახორციელებლად, გაუმჯობესონ სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგისადმი ხელმძღვანელობა. უზრუნველყონ მშრომელთა ფართო მასების ჩაბმა საბჭოების საქმიანობაში;

ბ) მოაწყონ ქვემდგომი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტთა თავმჯდომარეების, მდივნებისა და მუდმივი კომისიების თავმჯდომარეების სემინარები, საინსტრუქტაჟო თათბირები, ლექციები, საუბრები საბჭოების მუშაობის ცალკეულ საკითხებზე. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაკთა სწავლების საქმეს, მათი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დონის ამაღლებას;

გ) საბჭოების ორგმასობრივი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე პერიოდულად მოისმინონ ქვემდგომი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ანგარიშები, განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ;

2. დაევალოს რესპუბლიკის საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა მჭიდროდ დაუკავშირონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის კონკრეტულ ამოცანებს, რეგულარულად ჩაატარონ სესიები და აღმასკომების სხდომები, საკითხების მომზადება-განხილვაში ფართოდ ჩააბან დეპუტატები, მუდმივი კომისიები, უზრუნველყონ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცონ ახალგაზრდა დეპუტატებთან მუშაობას;

ბ) სისტემატურად შეისწავლონ სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების საწარმოთა და დაწესებულებათა მუშაობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკითხები და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი მათი საქმიანობის გასაუმჯობესებლად;

ბ) უზრუნველყონ, რომ განუხრელად ხორციელდებოდეს კანონი მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ. საბჭოების მუშაობაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმის მიზნით რეგულარულად ჩაატარონ სოფლისა და დაბის მოსახლეობის კრებები (ყრილობები), რომლებზეც განიხილონ ადგილობრივი მოსახლეობისათვის საჭიროროოტო, უმნიშვნელოვანესი საკითხები, გააცნონ მათ საბჭოსა და აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი და გაშალონ ორგანიზატორული მუშაობა მათ შესასრულებლად;

დ) მორიგ სესიებზე გადასინჯონ ადგილობრივი საბჭოების პირველ სესიებზე მიღებული არასწორი გადაწყვეტილებანი.

3. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას (ამხ. მ. ბაღათურია) სისტემატურად შეისწავლოს და განაზოგადოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების და მათი აღმასკომების მუშაობის მოწინავე გამოცდილება, პრაქტიკულად დაეხმაროს საბჭოებს მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 29 აპრილი.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

76 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულის გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდეს **მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“** საქართველოს სსრ გზატკეცილების სამინისტროს თანამშრომელი ვახტანგ კარპეზის ძე **ამაღლობელი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 29 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

77 საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარების საქმეში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ **საქართველოს სსრ სახალხო არტისტის** საპატიო წოდება:

1. ვასილ ვასილის ძე **დოლენკოს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორ-მემონტაჟეს.

2. ნთელა სევერიანის ასულ **ტუღუშს** — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე.

თბილისი, 1969 წლის 25 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

78 ამხ. გ. ს. ბიწაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ პროკურორის პირველი მოადგილე ამხ. გრიგოლ სამსონის ძე **ბიწაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს** პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე.

თბილისი, 1969 წლის 11 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

79 პროფესორ მ. ი. ჩიქოვანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი მიხეილ იასონის ძე **ჩიქოვანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე.

თბილისი, 1969 წლის 11 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

80 ჩაის მრეწველობის მახარაძის ტექნიკუმის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჩაის მრეწველობის სპეციალისტთა მომზადების საქმეში დამსახურებისათვის, დაარსების ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით, ჩაის მრეწველობის მახარაძის ტექნიკუმი დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 16 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

81 ამხ. ა. ვ. გელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სამთო მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ პერევისის მაღაროთასმმართველოს მებიგე ამხ. ალექსანდრე ვასილის ძე **გელაშვილი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 25 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

82 ამხ. მ. შ. ხანანაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების ოთხმოცი წელთან დაკავშირებით, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ანალიზური ქიმიის კათედრის დოცენტი მიხეილ შაფათას ძე **ხანანაშვილი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 25 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

83 ამხ. ა. ვ. კორშიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, თბილისის მშრომელთა დეპუტატების 26 კომისრის სახელობის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ალექსანდრე ვარლამის ძე **კორშია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. კოტუნიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 25 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

84 ამხ. ლ. დ. ესაკიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართულ კინოხელოვნებაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორი ამხ. ლეო დიმიტრის ძე **ესაკია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. კოტუნიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 25 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

85 ამხ. თ. ნ. დავითაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის ტრანსპორტის განვითარების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი ამხ. თეიმურაზ ნიკოლოზის ძე **დავითაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. კოტუნიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 25 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

86 ამხ. ა. ე. ღვინიანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მემოდელე ამხ. ალექსანდრე ევგენის ძე **ღვინიანიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 25 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

87 ამხ. ნ. ი. როდომანჩენკოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატი ამხ. ნიკოლოზ ივანეს ძე **როდომანჩენკო** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 25 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

88 ამხ. ფ. პ. კაჭიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საგზაო მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრის მოადგილე ამხ. ფარნაოზ პეტრეს ძე **კაჭიძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 28 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

89 ამხ. ვ. გ. ჟურდაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წლთან დაკავშირებით დაჯილდოვდეს ამერკავკასიის სატრანსპორტო სამშენებლო ტრესტის მმართველის მოადგილე ამხ. ვასილ გიორგის ძე ჟურდაძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 28 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

90 ამხ. კ. ი. კუნჭულიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წლთან დაკავშირებით დაჯილდოვდეს ლანჩხუთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების ღუნის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. კარლო ილარიონის ძე კუნჭულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 28 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

91 ამხ. ე. ე. ბახტაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ოთხმოც წლთან დაკავშირებით დაჯილდოვდეს პერსონალური პენსიონერი ამხ. ერასტი ეფრემის ძე ბახტაძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 28 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

92 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დარგის მუშაკთა დაჯილდოების შესახებ

გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. ივანე გრიგოლის ძე **გასიევი**
2. პეტრე სტეფანეს ძე **ვნუკოვსკი**
3. გიორგი კონსტანტინეს ძე **ზურმუხტაშვილი**
4. რაისა სტეფანეს ასული **კომაროვა**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 29 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

93 ამხ. ვ. გ. გოგელაურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სატყეო მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი მეტყევე ამხ. ვახტანგ გიორგის ძე **გოგელაური საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 29 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

94 ამხ. მ. გ. თავდგირიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის ელექტრიფიკაციის საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით დაჯილდოვდეს ტრესტ „საქსოფლელექტრომშენის“ მმართველი ამხ. მიხეილ გრიგოლის ძე **თავდგირიძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 29 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

მიმდინარე წლის 29 აპრილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის ამხ. ვ. ი. ვადაჭკორიას მოხსენება საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებულ ტრესტებში მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ. პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ კვების მრეწველობის სამინისტრო და მისდამი დაქვემდებარებული ტრესტები სათანადო ყურადღებითა და პასუხისმგებლობით ეკიდებიან მშრომელთა წერილების, განცხადებების, საჩივრების დროულად განხილვისა და აღძრული საკითხების სწორად გადაწყვეტის საქმეს. ამ საკითხს პერიოდულად იხილავენ სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე, გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს.

მიუხედავად ამისა, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს და მის ტრესტებს „საქჩაის", „სამტრესტს", „საქპურტრესტს" მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში ჯერ კიდევ გაჰჩნიათ არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი.

ცალკეულ შემთხვევაში ირღვევა მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვისათვის კანონით დადგენილი ვადები. ჭიანურდება მათში დაყენებული საკითხების დროულად გადაწყვეტა.

კვების მრეწველობის სამინისტროს „საქჩაის" ტრესტში 1968 წელს მიღებული იყო 449 განცხადება და საჩივარი, აქედან, ვადის დარღვევით განხილულია 33, ე. ი. 7,4 პროცენტი; ამავე პერიოდში „სამტრესტში" მიღებული იყო 412 განცხადება და საჩივარი, დაგვიანებითაა განხილული 35 — ე. ი. 8,5 პროცენტი.

ანალოგიური მდგომარეობაა კვების მრეწველობის სამინისტროს აპარატსა და „საქპურტრესტში".

არის შემთხვევები განმცხადებლებისათვის პასუხის გაცემის გაჭიანურებისა მაშინაც კი, როცა განცხადება არ საჭიროებს ადგილზე შემოწმებას და დამატებითი მასალის შეგროვებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივ კომისიაში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის სხდომა. განიხილეს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში რკინიგზის ვაგონების დროულად დატვირთვა-გადმოტვირთვის მდგომარეობის საკითხი. აღინიშნა, რომ სამრეწველო საწარმოებმა უკანასკნელ ხანს რამდენადმე გაუმჯობესეს მუშაობა რკინიგზის ვაგონთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროულად დაცლა-დატვირთვისათვის (ენგურის ქაღალდის კომბინატი, ტყვარჩელქვანახშირის და ტყიბულქვანახშირის ტრესტები, კასპის ცემენტის ქარხანა, ჭიათურის მარგანეცის ტრესტი და სხვ.).

რუსთავის ცემენტის ქარხანასა და ქიმკომბინატში, ენგურჰესის მშენებლობაზე, ბორჯომის შუშის ქარხანაში, ტყიბულქვანახშირის ტრესტსა და ზოგიერთ სხვა სამრეწველო საწარმოში განხორციელებულია სატვირთო ოპერაციების მექანიზაციის ღონისძიებანი, რეკონსტრუირებული და გაფართოებულია სამუშაო ფრონტები და სხვ.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანასა და რუსთავის ქიმკომბინატში შემოღებულია ვაგონთა დატვირთვა-გადმოტვირთვაზე მომუშავეთა შრომითი ანაზღაურების პრემიალური სისტემა.

ამასთანავე აღინიშნა, რომ ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელი ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს ვაგონთა დაცლა-დატვირთვის საქმეს. დიდი მოცდენები აქვთ ქუთაისის პუტროდუქტთა ბაზას, ფოთის წისქვილკომბინატს, ცხაკაიას პუტროდუქტების ბაზას, თბილისის № 1 წისქვილკომბინატს, ნავთლუღის ხის დამმუშავებელ კომბინატს, გორის ბამბეულის კომბინატს, ნავთლუღის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანასა და სხვ.

ზოგიერთი საწარმო ღამის საათებში, დასვენებისა და უქმე დღეებში არ აწარმოებს ვაგონების დაცლა-დატვირთვას, რის გამოც მოცდენა საგრძნობლად გაიზარდა. ბევრ საწარმოს არა აქვს საკმარისი მექანიზმები, არ გააჩნია ვაგონთა დაცლა-დატვირთვისათვის საჭირო მოედნები და საწყობები. არადამაკმაყოფილებელია სალიანდაგო მეურნეობა და დაცლა-დატვირთვაზე მომუშავე მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობა.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებები გამოწვეულია იმითაც, რომ ზოგიერთი სამინისტრო და უწყება სათანადო კონტროლსა და დახმარებას არ უწევს დაქვემდებარებულ საწარმოებს რკინიგზის ვაგონთა დროულად დატვირთვა-გადმოტვირთვის ორგანიზაციაში.

წარმოების მოცულობის ზრდასთან ერთად სათანადო ყურადღება არ ექცევა სატრანსპორტო საამქროების ზრდას.

საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: მუდმივი კომისიის წევრმა დეპუტატებმა: ი. ქარუმიძემ, ს. სიხარულიძემ, გ. ცინცაძემ, ზ. ბუცხრიკიძემ, თბილისის რკინაბეტონის ნაკეთობათა № 1 ქარხნის დირექტორმა გ. თუშიშვილმა, ბათუმის № 5 სამშენებლო ტრესტის მმართველის მოადგილემ გ. ბექაიამ, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების უფროსმა ლ. ვარდოსანიძემ, რუსთავის ქიმიური კომბინატის დირექტორის მოადგილემ მ. ძაძამიამ, ბორჯომის მინის ტარის ქარხნის დირექტორმა ა. ღვინერიამ, ბათუმის რკინიგზის სადგურის უფროსმა ა. შარაპიძემ და სხვებმა.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა დ. აბუთიძემ. კომისიამ განხილული საკითხის გამო მიიღო სათანადო დადგენილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1969 წლის 29 აპრილის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებით და „დედობის მედლებით“ დააჯილდოვა 212 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან		28
ქ. გორიდან		3
ქ. რუსთავიდან		11
ქ. ქუთაისიდან		9
ქ. ტყიბულიდან		2
ასპინძის	რაიონიდან	6
ახალქალაქის	„	14
ბოგდანოვკის	„	10
ბორჯომის	„	4
გორის	„	8
ზესტაფონის	„	11
ზუგდიდის	„	9
ვანის	„	16
თიანეთის	„	7
ლაგოდეხის	„	13
ორჯონიკიძის	„	7
ყვარლის	„	7
ჩხოროწყუს	„	20
წალკის	„	22
წულუკიძის	„	5

[illegible]